საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ინფორმაცია მშენებლობაზე გაცემული ნებართვებისა და ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტების შესახებ

2024 წელი

30.01.2025
www.geostat.ge

30.01.2025

ინფორმაცია მშენებლობაზე[1] გაცემული ნებართვებისა და ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტების შესახებ 2024 წელს

ოფიციალური დეკლარირებული მონაცემებით, საქართველოში 2024 წელს გაცემულია 12 080 ნებართვა (წინა წელთან შედარებით 7.1 პროცენტით მეტი) 12 040.4 ათასი კვ.მ ფართობის (წინა წელთან შედარებით 28.4 პროცენტით მეტი) შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე. ნებართვების 73.5 პროცენტი მოდის ქვეყნის 4 რეგიონზე, კერძოდ, ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების 46.8 პროცენტი მოდის ქ. თბილისზე, 10.5 პროცენტი – ქვემო ქართლის რეგიონზე, 8.2 პროცენტი – მცხეთა-მთიანეთის რეგიონზე და 8.0 პროცენტი - კახეთის რეგიონზე.

მშენებლობაზე გაცემული ნებართვების პროცენტული განაწილება რეგიონების მიხედვით, 2024 წელს



აღსანიშნავია, რომ 2024 წელს ნებართვები გაიცა მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსების, სავაჭრო ობიექტების, სასტუმროების, სამრეწველო საწარმოების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტებისა და სხვა შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე.

[1] იგულისხმება როგორც ახალი მშენებლობა, აგრეთვე რეკონსტრუქცია

2024 წელს ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა 3 245.6 ათასი კვ.მ ფართობის (წინა წელთან შედარებით 1.4 პროცენტით ნაკლები) 3 604 ობიექტი (წინა წელთან შედარებით 13.3 პროცენტით მეტი).

ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტების ნახევარზე მეტი მოდის ქვეყნის 4 რეგიონზე, კერძოდ, 36.2 პროცენტი მოდის ქ. თბილისზე, 13.2 პროცენტი – მცხეთა-მთიანეთის რეგიონზე, 12.7 პროცენტი – კახეთის რეგიონზე და 7.7 პროცენტი – იმერეთის რეგიონზე.

ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტების პროცენტული განაწილება რეგიონების მიხედვით, 2024 წელს



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: 2 36 72 10 (601), E-mail: dzhorzholiani@geosat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge